ხაშურის მოამბე

№27 (448) 22 ივლისი, ორშაბათი, 2024 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

10 ივლისს, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, საკრებულოს სხდომა გაიმართა, ნინო ლიპარტელიანის თავმჯდომარეობით.

საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს 2023 წლის 13 ნოემბრის N49 განკარგულებაში განსახორციელებელ ცვლილებებს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის საპროექტო წინადადებების მოწონების მიზნით.

ასევე, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა 16 ივლისსაც გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი უძღვებოდა.

საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტს „2024 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 ნოემბრის №49 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელმა გიორგი პაპიაშვილმა იმ საპროექტო წინადადებების ნუსხა წარმოადგინა, რომელთა მოწონება ოპტიმალურ ვადებს საჭიროებს.

ხაშურში აქტიურად გრძელდება „წყალმომარაგებისა და წყალარინების” სისტემების რეაბილიტაცია

პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტში შეხვედრები ინტენსიურად იმართება.

ამჯერადაც, ადმინისტრაციულ შენობაში, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი და მერის პირველი მოადგილე ზვიად ქურდაძე, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისა და საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულ კონტრაქტორ თურქული კომპანიის- „JV of YDA Insaat Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi & Ardem Yapi Gayrimenkul Insaat Taahut Akar. Mad. Tic. A.S“ წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრა, დეტალების განხილვას, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებას და პროექტში დეტალების კორექტირებას ემსახურებოდა.

დღეის მდგომარეობით, ხაშურში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები მოძველებულია, რაც ადგილობრივებს პრობლემებს უქმნის. ქალაქს წყალი დღის განმავლობაში რამდენიმე საათით მიეწოდება. მასშტაბური პროექტის დასრულების შემდეგ ქალაქ ხაშურის მოსახლეობის, დაახლოებით 30 000 ადამიანი, 24 საათიანი წყალმომარაგებითა და წყალარინების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით ისარგებლებს.

ქალაქ ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების” პროექტი ხორციელდება საფრანგეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (AFD) ფინანსური მხარდაჭერით. აღსანიშნავია ისიც, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია დააპროექტებს ქუჩებს და იქ სადაც წყლის პროექტი განხორციელდება, ეტაპობრივად, მოაწესრიგებს საგზაო ინფრასტრუქტურასაც.

სამუშაო შეხვედრა თამბაქოს კონტროლის საკითხებთან დაკავშირებით

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის აღსრულების საკითხებთან დაკავშირებით, სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

აღნიშნული შეხვედრა, თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრის მიერ, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით „ჯანმრთელობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ხორციელდება.

სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, იურიდიული, ადმინისტრაციული სამსახურებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის წარმომადგენლები.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის დეტალებისა და აღსრულების პრაქტიკული საკითხების განხილვა.

საინტერესო ლექცია აჭარის მუზეუმში

12 ივლისს, სსიპ აჭარის მუზეუმის მოწვევით, აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორმა, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა ნინო ლიპარტელიანმა ჩაატარა საჯარო ლექცია-„ ფული და ადამიანის განვლილი გზა ნეოლითის ეპოქიდან კრიპტოვალუტამდე”.

შეხვედრა გახსნა სსიპ აჭარის მუზეუმის დირექტორის მოადგილე ინგა გოგიბერიძემ. გამოფენილი იყო მუზეუმში დაცული მონეტები და ფულის კუპიურები.

ლექციას გორისა და ბათუმის უნივერსიტეტის პროფესორ- მასწავლებლები, ხაშურის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლები და ამ თემით დაინტერესებული საზოგადოება ესწრებოდა.

ლექციამ აუდიტორიის დიდი მოწონება დაიმსახურა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 დეკემბრის № 28 დადგენილებით.

დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, 2024 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 30 296,6 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტის ძირითად საბიუჯეტო ანგარიშზე, 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ნაშთის სახით ირიცხებოდა 7 646,2 ათასი ლარი (აქედან ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთი 6 815,6 ათასი ლარი, დელეგირებული 190,4 ათასი ლარი მთავრობს განკარგულებით მიღებული თანხების ნაშთი 640,2 ათასი ლარი).

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების საფუძველზე განხორციელდა დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა და 2024 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, 2024 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 48 179,4 ათასი ლარით, რაც 17 882,8 ათასი ლარით აღემატება თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტის მაჩვენებელს.

2024 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, შემოსულობების საკასო შესრულებამ 30 018.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის (21 531.7 ლარი) 139,42%, ხოლო წლიური გეგმის (43 063.5 ლარი) 69,71%-ს შეადგენს. რაც შეეხება შემოსულობების გეგმის შესრულებას ცალკეული სახეობების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

შესაბამისი პერიოდის გეგმასთან მიმართებაში გადასახადების გეგმა შესრულდა 106,54%, (13 891.3 ათასი ლარი), მათ შორის: დმატებითი ღირებულების გადასახადი 95,83%-ით, საწარმოთა ქონების გადასახადი 218,96%-ით, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი 4,52%-ით , სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 24,67%-ით, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 5,03%-ით.

სხვა შემოსავლების გეგმა შესრულდა 72,71%-ით (1 345.1 ათასი ლარი), მათ შორის: რენტა 82,60%-ით, მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის 50,42%ით, მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 74,81%-ით, შემოსავალი ჯარიმებიდან და საურავებიდან 68,42%-ით, შემოსავალი შენობა-ნაგებობის იჯარიდან 71,0% ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლების გეგმა შესრულდა 399,40%-ით.

2024 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, შესაბამისი პერიოდის გეგმასთან მიმართებაში შემოსულობების საერთო ოდენობაში

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების ხვედრითი წილი შეადგენს 101,81%-ს (6 636.7 ათას ლარს), ,,საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტში მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერიდან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გათვალისწინებულია- 290,1 ათასი ლარი, მიღებულია – 145,0 ათასი ლარი.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის იანვრის N2402 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 8 436 970 ლარი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განსახორციელებლად. (სოფელ წრომში და სოფელ ზეკოტაში ასფალტობეტონის გზების მოწყობა, დაბა სურამში, ტაბატაძის ქუჩის მეორე მონაკვეთზე აფალტობეტონის გზის მოწყობა, სოფელ ახალსოფლის გზის მოასფალტება, სოფელ ტეზერში ბეტონის საფარის მოწყობა, სოფ ქინძათისა და სოფ დუმაცხოვის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება, სოფელ ქვიშხეთში მე-5 და მე-8 ქუჩების და ასევე მჭედლიშვილების უბანში - გზის მოასფალტება, დაბა სურამში, იტრიის დასახლებაში, მამათა მონასტრის მისასვლელი გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა,სოფელ ალიდან სოფელ ნაბახტევამდე - მისასვლელი გზის რებილიტაცია, სოფელ თაგვეთში, დაზიანებული გზის გასწვრივ - მაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლის სამშენებლო სამუსაოები, ქ,ხაშურში ახალციხის N6 და N50 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია, დაბა სურამში - სარაჯიშვილის N6 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია, ქ, ხაშურში თამარ მეფის N3,N4,N5 - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია, სოფელ უწლევში - მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა, ხაშურში -მდინარე სურამულას ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი სამუშაოები).სოფელ ცხრამუხაში - შიდა გზის მოასფალტება.

,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2401 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 904 000 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

„ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 2 195 000 ლარი (სოფელ ნაბახტევში მდინარე ჭერათხეულაზე ხიდის მოწყობის სამუშაოებისათვის).

ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებემოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ „ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 იანვრის N56 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა 589 110,570 ლარი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად.

,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 იანვრის N44 განკარგულებით, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 206 700 ლარი მუნიციპალიტეტებში დასახლებული ტერიტორიებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეუფერხებლად გატანის მიზნით, ნაგავმზიდი მანქანის შესასყიდად.

საქართველოს მთავრობის 30,12,2019 N2735 განკარგულებით, საჯარო ფინანსებისმართვისრეფორმის2018-2021წლებისსტრატეგიისფარგლებში, ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 2021 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 400 000 ლარი, რომელიც მიმართულია სახელოვნებო სკოლის რეაბილიტაციისათვის.

2024 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, გადასახდელების საკასო შესრულებამ 20 821.8 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის 53,54%-ს შეადგენს, ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ექვსი თვის განმავლობაში გასაწევი ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების გეგმის შესრულება გადანაწილდა შემდეგნაირად: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 74,36% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 11,68%), ეკონომიკური საქმიანობა - 42,94% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 40,84%), გარემოს დაცვა - 52,62% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 5,46%), საბინაო–კომუნალური მეურნეობა – 70,43% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 7,10%), ჯანმრთელობის დაცვა - 49,83% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 0,34%), დასვენაბა, კულტურა და რელიგია - 80,82% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 16,13), განათლება - 88,93 (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 10,33%), სოციალური დაცვა - 79,29% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯში -4,69%, ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა ეკონომიკური კლასიფიკაციის ჭრილში შემდეგნაირად შესრულდა: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ხარჯები - 80,82%-ით, სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯები -44,51%-ით, სუბსიდიები - 86,10%-ით, გრანტები - 0%-ით, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები - 79,56%-ით, სხვა ხარჯები - 29,943%-ით, არაფინანსური აქტივების ზრდა - 45,71%-ით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 18 დეკემბრის №28 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვრა 30,0 ათასი ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული სამართებლივი აქტების საფუძველზე. 2024 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გახარჯულია სულ 5100 ლარი.

2600 ლარი გამოიყო 2024 წლის 8 თებერვლის N84.842403954 ბრძანებით, 2024 წლის 6 თებერვალს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსული უხვი ნალექის შედეგად, ადგილობრივი მოსახლეობის სასმელი ჭების დაბინძურებისგამო, მოსახლეობისსასმელი წყლითუზრუნველყოფის მიზნით, 500 ერთეული 10 ლიტრიანი წყლის ავზის შესაძენად.

2000 ლარი გამოიყო 2024 წლის 26 მარტის N84.84240863 ბრძანებით. 1992-1993 წლებში აფხაზეთში შეიარაღებული მოქმედების შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული ხაშურის მუნიციპალიტეტის ორი იდენტიფიცირებული პირის ალექსი ქორთიაშვილისა და დიმიტრი ობოლაძის ოჯახების დახმარების მიზნით .

500 ლარი გამოიყო(2024 წლის 20 ივნისის N84.84241722 ბრძანება). სოფელ ჩუმათელეთში მცხოვრები სოციალურად გაჭირვებული არასრულწლოვანის დავით კვინიკაძის ოჯახისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების მიზნით.

ლელა მაჭარაშვილი,

მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი

100 წელი - 1924 წლის აჯანყებიდან

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2024წ.#19,20,21,22,23,24,25,26)

საკითხავია, ვინ ღვრიდა სისხლს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად, რომ ,,ნანატრი თავისუფლება“ მოეპოვებიათ, ყოველ შემთხვევაში, ხაშურლებს ამისთვის სისხლი არ გაუღიათ. იქნებ მარო მაყაშვილის სისხლს გულისხმობენ, კოჯორთან რომ დაიღვარა, ან იქნებ იმ იუნკრებისა, რომლებმაც სიცოცხე არ დაიშურეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა ხომ ოცდაერთი წლის თებერვალ-მარტში მოსპო და ქართველ ხალხს მონობის ახალი უღელი დაადგა მხრებზე. იქნებ მონობის ეს უღელი მიაჩნდათ ხაშურლებს სისხლით მოპოვებულ თავისუფლებად?

საოცარ მოვლენასთან გვაქვს საქმე, 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის ხიშტებით შემოსულმა ხელისუფლებამ როგორ სწრაფად ჩაკლა ხალხში დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოს არსებობის ფაქტიც კი. ისევე როგორც სურამლები, განა ხაშურლებიც დიდი აღფრთოვანებით არ შეხვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას? განა არჩევნებშიც ყველაზე მეტი ხმა მენშევიკებმა არ მიიღეს ხაშურში, რომელთა განადგურებასაც ახლა ასე მკაცრად აყენებენ დღის წესრიგში იგივე ხაშურლები?

განა იგივე მუშები და გლეხები არ გამოდიოდნენ საქართველოს დასაცავად საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის წინაღმდეგ ბრძოლებში? ისიც ხომ ფაქტია, რომ მაინცდამაინც დიდი ზარზეიმით არ შეხვედრიან ხაშურლები წითელი არმიის შემოსვლას და, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. როგორც ჩანს, მართალი ყოფილა ჩვენი წინაპარი, როცა უთქვამს, ,,ძალა აღმართს ხნავსო“. დაპყრობილი საქართველოს მუშა და გლეხი, რომელიც გუშინ დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოს შეჰხაროდა, დღეს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მებრძოლ აჯანყებულების მიმართ სისხლიან ანგარიშსწორებას მოითხოვს. ,,არავითარი შეღავათი მათ, არავითარი დათმობა, არც შერიგება, ცეცხლი, ტყვია მათ...“ სამწუხაროდ, საბჭოთა ხელისუფლებამ ვერც ის სურვილი შეუსრულა ხაშურლებს, რომ დედამიწის ზურგიდან აღეგავა მენშევიკები, ბანდიტები, მღვდლები, თავად-აზნაურები და ამით განემტკიცებინათ მშრომელთა ბატონობა საქართველოს მიწა-წყალზე. თუ როგორ განმტკიცდა ქართველი კაცის პოზიციები თავის მიწა-წყალზე, კარგად ჩანს განვლილი ათწლეულებიდან. სწორედ საბჭოთა ხელისუფლებამ დიდი ლენინის დასტურითა და ლოცვა-კურთხევით, დაურიგა ქართული მიწა-წყალი რუსეთს და სომხეთს, აზერბაიჯანსა და... თურქეთს. ძლივს ერთად შეკრული საქართველო ავტონომიებად და ოლქებად დაჰყო... ბოლოს ისიც კი დააკანონეს, რომ საქართველოს მიწა-წყალი ქართველი ერის საკუთრებად კი არა, საერთო-საკავშირო საკუთრება არისო. და ყველა მოზიარე გაუხდა, ვინც რუსეთის იმპერიაში ცხოვრობს. ასე დაიცვა საბჭოთა ხელისუფლებამ, ქართველი კაცის უფლებები თავის მშობლიურ მიწა-წყალზე.

ეს, რა თქმა უნდა, მაშინ არ იცოდნენ ხაშურლებმა, რომ ასე მოხდებოდა და მათ შთამომავლებს მოუხდებოდათ ბრძოლა საქართველოში ქართველი კაცის კანონიერი ინტერესების დასაცავად.

ხაშურის 7 სექტემბრის მიტინგს გაზეთი ,,მუშა“ კვლავ მიუბრუნდა 11 სექტემბერს და უფრო ვრცლად გადმოგვცემს განვითარებულ მოვლენებს. კორესპონდეციას სათაურიც ძალზე მიმზიდველი აქვს შერჩეული - ,,ხაშურლების ქუხილი“.

,,კვირას, 7 სექტემბერს, ხაშურის საბაზრო მოედანზე, ხაშურის მუშა-მოსამსახურეთა და სოფლის გლეხების მონაწილეობით, შედგა მრავალრიცხოვანი მიტინგი.

მიტინგი გახსნა ამხ. ალ. ქებაძემ, რომელმაც გააცნო დამსწრე საზოგადოებას მენშევიკების გამოსვლის მიზეზი და მათი შედეგი.

ამხ. ლ. რუხაძემ, რომელსაც ტფილიდან დავალებული ჰქონდა ინფორმაციის მოწოდება მენშევიკების ავანტურის შესახებ, გააკეთა ფართე მოხსენება ხსენებულ თემაზე.

მას მიჰყვა ამხ. ვალ. ვაშაკიძე. შემდეგ ამხ. კვინიკაძე.

განათლების მუშაკთა კავშირის სახელით ილაპარაკა ამხ. ამბაკო კალაძემ. მერე ვანო ძაძამია და სიმონ ბაბლიძემ.

თვითეული ორატორი ნიღაბს ხსნის მენშევიკების ,,სოციალიზმს“.

და საზოგადოებას შავი ზრახვებით სავსე ავანტურა რჩება თვალწინ.

მიტინგის დასასრულს ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი რეზოლუცია:

ხაშურის მუშა-მოსამსახურეთა და გლეხობის მრავალრიცხოვანმა მიტინგმა მოისმინა რა ამხ. ალ. ქებაძის, ვალ. ვაშაკიძის და სხვების მოხსენება მენშევიკური ავანტურის შესახებ, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით იყო მოწყობილი და მუშურ-გლეხური კეთილდღეობის გასანადგურებლად, ხაშურის მრავალრიცხოვანი მიტინგი, იღებს რა მხედველობაში თავად-აზნაურთა, მღვდელთა და ღენერლების ავანტურისტულ გამოსვლებს სხვადასხვა მხარეში, როგორც შავი ზრახვებით სავსენი და მუშათ კეთილდღეობის დაუძინებელი მტერნი, ადგენს:

ყველა თავად-აზნაური, მღვდელი და კიდევ სხვა დამნაშავენი, დასჯილი იქნენ უმაღლესი სასჯელით - დახვრეტით, როგორც ავანტურისტები და საზოგადოების მშვიდობიანობის დამრღვევნი.

ყველა ეს პირები, რომელნიც მშრომელი ხალხის დაჩაგვრის იმედებს ეძლევიან, რომელნიც ყოველ ფეხის გადადგმაზე მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას ძირს უთხრიან, განდევნილ იქნან ჩვენი ქალაქიდან და სოფლებიდან.

სალამი საბჭოთა ხელისუფლებას და რევოლუციის შტაბს, მე-3 კომუნისტურ ინტერნაციონალს!

ზიზღი ჩოხა-ანაფორიან მენშევიკების ავანტურას!“).

,,ხაშურლების ქუხილი“ - საინტერესოა, ეს სათაური გაზეთის რედკოლეგიას ეკუთვნის, თუ კორესპონდენციის ავტორის, ევგენი ნოზაძის გამოგონილია.

იმ დროს, როდესაც ,,ქუხილით“ მიერეკებოდნენ უდანაშაულო ადამიანებს ზემო სერისკენ და გორში დასახვრეტად, ადგილობრივი ხელისუფლება სულ სხვაგვარად უდგებოდა ბოლშევიკური პარტიის წევრების დასჯის საკითხს, თუნდაც დანაშაული ჰქონოდა ჩადენილი. ვერც გაამტყუნებ ხელისუფლებას, საზოგადოებისათვის ხომ უნდა ეჩვენებინა პარტიის წევრების თუნდაც სულ მცირე უპირატესობა.

აჯანყებამდე, ერთი დღით ადრე, 25 აგვისტოს ხაშურის რაიკომის პრეზიდიუმი იხილავს ვინმე ილიკო კაბულაშვილის საკითხს. თუ რა დანაშაული ჩაიდინა მან, ეს საარქივო დოკუმენტებში არ ჩანს, მაგრამ ხელისუფლების დამოკიდებულება როგორც ბოლშევიკური პარტიის წევრის მიმართ, ძალზე საგულისხმოა.

პრეზიდიუმმა დაადგინა: ,,დაუბრუნდეს ამხ. ილიკო კაბულაშვილს იარაღი და მიეწეროს აღმასკომის კომფრაქციას , რათა არ იქნეს პარტიის წევრების დატუსაღება მილიციის მიერ გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა რაიკომის თანხმობამდის.“

ამრიგად, ადგილობრივი ხელისუფლება უშვებს შესაძლებლობას, რომ არ იქნან დაპატიმრებული ბოლშევიკური პარტიის წევრები მცირე დანაშაულის გამო, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში რას გულისხმობდნენ, ღმერთმა უწყის.

რაიკომის პრეზიდიუმის დადგენილებას რაიაღმასკომის კომფრაქცია უმოკლეს დროში იხილავს, ხოლო რაიკომის პრეზიდიუმის ოქმიდან ამონაწერზე 15 სექტემბერს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ალ. ცაბაძის რეზოლუცია ჩნდება: ,,ეცნობოს ოფიციალურად მილიციის უფროსს, რათა უწესრიგოდ და შეუფერებლად (ხაზგასმა ჩვენია - თ.ლ.) არ მოახდინოს პარტიის წევრების დაპატიმრება, გარდა უკიდურეს შემთხვევებისა“.

რატომღაც, სანამ ეს რეზოლუცია გაჩნდებოდა, ამონაწერზე, მანამდე, 8 სექტემბერს არის ალ. ცაბაძის ხელმოწერით გაგზავნილი ოფიციალური წერილი ხაშურის მილიციის უფროსის სახელზე აღნიშნული საკითხის თაობაზე, რომელშიაც ვკითხულობთ: ,,როგორც სჩანს აღმასკომში შემოსულ ცნობებიდან, თქვენ ხშირად აპატიმრებთ პარტიულ ამხანაგებს სულ მცირე და უმნიშვნელო დანაშაულისათვის, ანდა სრულიად უდანაშაულოთ. წინადადება გეძლევათ შემდგომში აღარ გაიმეოროთ ასეთი და არ დააპატიმროთ უწესოთ და შეუფერებლად (ხაზი ჩვენია თ.ლ.) პარტწევრები, გარდა უკიდურეს დაგანსაკუთრებული შემთხვევებისა“.

კომენტარები ზედმეტი უნდა იყოს ამ დოკუმენტების მიმართ. ხელისუფლება პირდაპირ ეუბნება ადგილობრივ პოლიციის უფროსს, რაღა ბოლშევიკური პარტიის წევრებს აპატიმრებ სულ მცირე დანაშაულისთვის, აგერ არ არის ინტელიგენცია, სამღვდელოება, ვაჭრები, თავად-აზნაურობა, რომელთა არა თუ ,,უწესოდ და შეუფერებლად“ დაპატიმრება შეიძლება, არამედ ზემო სერზეც შეიძლება მათი აყვანა და დახვრეტა. ამისთვის კი წინადადებასაც არ მოგცემთ, მომავალში აღარ გაიმეოროთო. ხაშურში, ზემო სერზე, მ. დაბრუნდაშვილთან და დ. აბაშიძესთან, აბულიანცთან, პ. ორჯონიკიძესთან, მ. აბაზაძესთან და ი. მურვანიშვილთან ერთად, დახვრიტეს ნემსაძე, ბაგრატიონი, ფურცელაძე, მიხა გოლაშვილი...

როცა კიდევ ერთი ჯგუფი დაპატიმრებულებისა მიჰყავდათ ზემო სერზე დასახვრეტად, სულზე მიუსწრეს და ჯალათებს აცნობეს დახვრეტები შეჩერებულიაო. ალბათ ეს ღვთის წყალობას უფრო ჰგავდა დასახვრეტად გამზადებულთათვის, რომელთაც ყველა იმედი გადაწყვეტილი ჰქონდათ, ვიდრე ხელისუფლების მხრიდან რაიმე დათმობას. საერთოდ, იმ პერიოდში ხელისუფლება ასეთ წყალობას ნაკლებად იძლეოდა.

გომის სადგურზე დახვრიტეს ალექსანდრე (საშა) ფალავანდიშვილი...

გორში ჩაყვანილ პატიმართა ერთი ნაწილი დაიხვრიტა. ნაწილს ასევე ბრძანებამ მოუსწრო ზემოდან დახვრეტების შეჩერების შესახებ. სოფელ ტკოცაში დააპატიმრეს ზაქარა გაგნიძე და სტეფანე გრიგალაშვილი.

ეკატერინე გაგნიძე იგონებს: ,,დედა ახალი გარდაცვლილი მყავდა. აგვისტოს ბოლო რიცხვები იქნებოდა, მამაჩემი ზაქარა გაგნიძე, რომ დააპატიმრეს. მე და ჩემს დას მამასთან გვეძინა აივანზე. დილა იყო. ეხლაც თვალწინ მიდგას, ლოგინიდან როგორ წამოაყენეს და აკანკალებული ხელებით რომ იკრავდა ქალამნის თასმებს. მასთან ერთად დააპატიმრეს სტეფანე გრიგალაშვილი. ის გომიდან გამოუშვეს, მამაჩემი კი გორში წაიყვანეს. სახლში ძალიან განვიცდიდით მამის დაპატიმრებას.

ბიძაჩემი, მამაჩემის ძმა გიგა გაგნიძე, წავიდა გორში ამბის გასაგებად. გორის ციხეში, რომ მისულა, სულ მალე გამოსულა განთავისუფლებული მამაჩემი. თურმე დასახვრეტად ამზადებდნენ, ამოუკითხიათ მისი სახალი და გვარი, ისიც ემზადებოდა, რომ ერთი ახალგაზრდა ქალი შესულა მათთან და უთქვამს: გადარჩით, დახვრეტები შეაჩერესო. ყველა ამ ქალს შემოხვევია და სიხარულით იკრავდნენ თურმე გულში. გორში დახვრიტეს სურამელი მღვდელი ბებიაშვილი, ალის მღვდელი სერგი გელაშვილი ხაშურში. გომში საშა ფალავანდიშვილი ლიანდაგებში მოკლეს, მეტი არ მახსოვს. მამაჩემი, რომ ჩამოვიდა ტკოცაში, მეზობელს სიმინდის რჩევაში ვეხმარებოდით, ძალიან გავიხარეთ ბავშვებმა“.

* * *

სამღვდელოება აგვისტომდე და აგვისტოს შემდეგ

ამავე პერიოდში მწვავე ხასიათი მიიღო მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ ხელისუფლების მხრიდან დაწყებულმა მიზანმიმართულმა ბრძოლამ. საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი ღონისძიება სახელმწიფოსგან ეკლესიისა და ეკლესიისგან სკოლის გამოყოფა იყო. ამ საკითხზე საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა (ცაკი) 1921 წლის 15 აპრილს სპეციალური დეკრეტი მიიღო. ქვეყანაში დაიწყო ეკლესიის წინააღმდეგ მიზანმიმართული კამპანია, რაც მიზნად ისახავდა მისი, როგორც ორგანიზაციის გაუქმება. განსაკუთრებით იდევნებოდა მართლმადიდებლობა. იხურებოდა ეკლესიები, იდევნებოდნენ სასულიერო პირები, მათ მიმართ ხორციელდებოდა მკაცრი რეპრესიები. ბევრი მათგანი იძულებული გახდა, გაეხადა მღვდლის სამოსელი.

ფართო ხასიათი მიიღო ეკლესიების სხვადასხვა დანიშნულებისამებრ გამოყენებას. ხდებოდა მათი გადაკეთება კლუბებად, საწყობებად და სხვა.

ამ მხრივ გამონაკლისს არც ხაშური წარმოადგენდა. 1923 წლის 6 მარტს, ხაშურის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ეზოში თავი მოიყარა ხალხმა. ,,ფრიალებდა წითელი დროშები, უკრავდა მუსიკა. ორატორებმა ცოცხალი ფაქტებით ნათელჰყვეს ,,წმინდა მამების“ თვალთმაქცობა.

მიტინგის დასრულებისას ეკლესია დახურულ იქნა და მის მწვერვალზე ჯვრის ნაცვლად აღიმართა წითელი დროშის ვარსკვლავი”.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- ფეხბურთი -

საქართველოს ნაკრები - ევროპის ჩემპიონატის თაიგული

ეს წერილი, ყველა ლოგიკიდან გამომდინარე, ალბათ, ათიოდე დღით ადრე უნდა დაწერილიყო, მაშინ, როდესაც საქართველოს საფეხურთო ნაკრებმა, ევროპის ჩემპიონატში თავისი გამოსვლა დაამთავრა, თუმცა, ჩვენ შეგნებულად გადავუხვიეთ ყველა ლოგიკიდან და მხოლოდ დღეს გამოგვაქვს სამზეოზე. ამასაც, ჩვენი პოზიციიდან, თავის ახსნა აქვს და ვფიქრობთ, მკითხველიც დაგვეთანხმება. ჯერ ერთი, ძალინ გვინდოდა მოჭარბებულ ემოციებს ნაკლები გავლენა მოეხდინა წერილის საერთო პათოსზე და ჩემპიონატში ჩვენი ბიჭების გამოსვლა უფრო პრაგმატული გონებით შეგვეფასებინა და მეორეც: გვინდოდა, სრული სურათი გვქონოდა მთელი ჩემპონატის, რომლის ფონზე უფრო სრულყოფილად გამოჩნდებოდა ჩვენი ნაკრების თამაში.

მაშ ასე, დასრულდა საფეხბურთო ევროპული ბატალიები, დასრულდა ვნებათაღელვა, რომელმაც სრულიად საქართველო მოიცვა და, თამამად შეიძლება ითქვას, ისეთი დღეები აჩუქა ჩვენს სამსობლოს, რომლის მსგავსი არასოდეს გვინახავს და განგვიცდია. მთელი საქართველო იმ დღეებით ცხოვრობდა, უბრალოდ, სხვა თემა გაქრა დღის წესრიგიდან. რა პოლიტიკა, რის ეკონომიკა, ვიღას ახსოვდა ეს სფეროები, დიდი, პატარა, ქალი, კაცი ყველა ფეხბურთის ნაწილად ვიქეცით, უფრო მეტიც: უშუალოდ ნაკრების წევრები გავხდით და ოთხი მილიონი კაცი, იმ თერთმეტ ლომგულთან

ერთად ვიბრძოდით მინდორზე - ჯერ თურქების, მერე - ჩეხების, შემდეგ - პორტუგალიის და ბოლოს - ესპანელების წინააღმდეგ. ჭაბუა ამირეჯიბის შედევრის ცნობილი პერსონაჟისა არ იყოს: დედა, რა იყო ეს!!!

გადაუჭარბებლად შემიძლია თქმა, ჩვენი ათასწლეულების კულტურა, ჩვენი სამშობლოს საოცარი ისტორია, ჩვენი იდენტობა თაობები ცდილობდნენ, რომ ევროპისათვის გაეცნოთ, გარკვეულწილად, რა თქმა უნდა მოხერხდა კიდეც, მაგრამ, ამ ბიჭებმა სულ რაღაც თხუთმეტიოდ დღეში მოახერხეს, რომ ევროპას უფრო მეტად შევეცანით და ეგრძნოთ რანი ვართ ქართველები. ენითაუწერელი გრძნობაა, როდესაც შუა ევროპაში გაჩერებს ვინმე ჩეხი, გერმანელი, პორტუგალიელი თუ ფრანგი, ტაშს გიკრავს და ხმამაღლა ყვირის: ბრავო, ჯორჯია! ო, როგორი ამაყი ხარ ამ დროს, გინდა მაღლა, ცის კაბადონზე

აფრინდე, რომ მერე მთელი სამყაროს გასაგონად შესძახო: მე ქართველი ვარ, ფარნავაზის, ვახტანგის, დავითის, თამარის, დემეტრეს, შოთას, ილიას, გალაქტიონის და სხვა ასეულობით დიდებული ქართველის სამშობლოდან და ჩემი ქვეყანა ყველაზე ლამაზია (და ყველაზე მაგარიც) ამ პლანეტაზე. მე მქონდა ბედნიერება უშუალოდ სტადიონიდან მეყურებინა ჩვენი ბიჭების თამაშისთვის და იქ განცდილ შეგრძნებებზე ცალკე მინდა, ვისაუბრო. ვიდრე ამაზე მოგითხრობთ, მადლობა მინდა, გადავუხადო საკაბელო ტელევიზიას - „სენტანტას“ მთელ გუნდს, „ჯორჯიან ეარვეისს“ და ბატონ დიტო აბდუშელიშვილს, საოცარ კაცს, რომლისთვისაც ქველმოქმედება, უბრალოდ, ცხოვრების წესია. სწორედ მათ მაჩუქეს ეს თავგადასავალი და მათ წინაშე მთელი დარჩენილი სიცოცხლე ვიქნები მადლიერი.

ძნელია, ძალიან ძნელი სრულყოფლად გადმოსცე ის განცდა და შეგრძნება, რაც იქ ყოფნისას გეუფლება კაცს. უბრალოდ, წარმოიდგინეთ, ევროპის სრულიად უცხო ქალაქში - ავტობუსში, ტაქსიში, მეტროში, ქუჩაში ყველგან ქართველები გვხვდებიან, ყველა ერთიან ფორმაში, საქართველოს ნაკრების მაისურებში, ჩვენი ულამაზესი დროშით და გაბრწყინებული სახეებით და ყველა ერთი მისამართისაკენ მიიჩქარის - სტადიონისაკენ. შემდეგ შეკრების ერთიანი ადგილი და ეს ამხელა მასა - ოცდახუთი თუ ოცდაათი ათასი ქართველის ერთიანი მსვლელობა. ეს უნდა ნახო, ეს უნდა განიცადო, ეს უნდა შეიგრძნო. ამ დროს შენი ქვეყნის ნაწილი ხდები, რაღაც უზარმაზარი სიამაყე ყელში ბურთივით გაქვს გაჩრილი და შინაგანად, უთქმელად მადლობას უხდი უფალს, რომ ქართველად დაიბადე. სხეულის ყველა უჯრედში სიხარულია დავანებული და გინდა არასოდეს დასრულდეს ეს შეგრძნება. თან ამხელა მასას ქართველი პატრიოტები გვაცილებენ და ეს ცალკე ემოციაა. მღერის ყველა, რა მნიშვნელობა აქვს, იცი თუ არა სიმღერა, გემღერება და მღერი! რომ გაჩუმდე, გრძნობ რომ სული მაინც ხმაურობს შიგნიდან, ის მღერის და გაიძულებს შენც ხმა ამოიღო, რომ შენი თუ არა, იმის ხმა გაახმოვანო. სიმღერა კი, იცოცხლე, გვეხერხება ქართველებს. პირდაღებულები მოგვჩერებიან გერმანელები სახლების აივნებიდან, ფანჯრებიდან, ქუჩის კიდეებიდან და კვლავ ის საოცარი: - ბრავო, ჯორჯია! სიმღესასთან ერთად, ჩუმად, ძალიან ჩუმად ვბუტბუტებ: ღმერთო, მუდამ ასეთი მანახე ქართველები - ერთიანები, ჩახუტებულები, სამშობლოსათვის გულანთებულები, მომღიმარნი და გალაღებულნი...

კარგით, დავანებოთ თავი ამ ამბავს და უშუალოდ ჩემპიონატზე გადავიდეთ. ნებისმიერი ამხელა საფეხბურთო ფორუმი, იქნება ეს ევროპის თუ მსოფლიო ჩემპიონატი, როგორც წესი, ახალი საფეხბურთო იდეებისა თუ ტაქტიკის დაბადებად იქცევა ხოლმე. რა მოგვცა ამ ჩემპიონატმა ამ მხრივ? პირდაპირ ვიტყვი - არც არაფერი! ის რომანტიკული ფეხბურთი, რომელმაც ასე შეგვაყვარა თავი ჩემს თაობას- გარდაიცვალა. სადღაა დიდი ოსტატების ფილიგრანული გარღვევები, საოცარი დრიბლინგები... ყველაფერი პრაგმატულ დიაგრამებს და სქემებს დაექვემდებარა. „თავისუფალი მხატვრები“, რომლებიც ასე ალამაზებდნენ ფეხბურთს, უბრალოდ, აღარავის სჭირდება. მწვრთნელები ყველანაირად ზღუდავენ ასეთებს და ცდილობენ საერთო სქემის ნაწილად აქციონ. ამიტომაც, რაღაცნაირად, ყველა გუნდი ერთმანეთს დაემსგავსა. ადრე, ვთქვათ ფეხბურთელებისთვის სახეები რომ აეხვიათ და ფორმა შეეცვალათ, გეფიცებით, მაინც მიხვდებოდი ბრაზილიელები თამაშობდნენ, ინგლისელები, გერმანელები, ესპანელები, ფრანგები თუ ჰოლანდიელები და ა. შ. ყველას თავისი სტილი, თავისი ხელწერა ჰქონდა

და ეს საოცრად უხდებოდა ფეხბურთს. დღეს რა? ბრაზილიური ფეხბურთი მაშინ მოკვდა, როდესაც მათ ევროპულად დაიწყეს თამაში. ან როდის იყო, რომ ინგლისური ფეხბურთი მოსაწყენ და, ჩემის აზრით, გულისამრევ ე.წ. „ტიკ-ტოკზე“ აგებულიყო, როდესაც 90 წუთიდან, 60-70 წუთი ბურთის უაზრო გორებაა ცენტრში და მხოლოდ დარჩენილი 20 წუთი იცლიან ნამდვილი ფეხბურთისათვის. ამ ჩემპიონატში, გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ არა საქართველოს ნაკრები, დასამახსოვრებელიც არაფერი იქნებოდა. ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატიდან (1966 წელს) ჩართული ვარ ფეხბურთის ციებ-ცხელებაში და ყველა ჩემპიონატიდან დღემდე მახსოვს, სულ მცირე, ათი თამაშის ბატალიები წვრილმანებშიც კი. ძალიან მეეჭვება, სულ რაღაც ათი წლის შემდეგ, რომელიმე გულშემატკივარმა, წლევანდელი ჩემპიონატიდან,

(დასასრული V გვერდზე)

- ფეხბურთი -

საქართველოს ნაკრები - ევროპის ჩემპიონატის თაიგული

(დასასრული)

ფინალის ჩათვლით, რომელიმე თამაში გაიხსენოს. და ისევ გამონაკლისი ჩვენი გუნდია. მეტი აღიარება რაღა უნდა იყოს, როდესაც ჩვენი ოთხი თამაშიდან ორი საუკეთესო ათეულში მოხვდა. მეტიც: ჩვენი და თურქეთის

თამაში, სანახაობის მხრივ, სულაც მეორე ადგილზე დასახელდა. არადა, თავისი დრამატიზმითა და სილამაზით, პირველი ადგილიც თავისუფლად ეკუთვნოდა და ბევრად აღემატებოდა პირველ ადგილზე გასულ გერმანია-ესპანეთის თამაშს. დიახ, ჩვენი ბიჭების თამაში, პირდაპირ, ამ ჩემპიონატის მშვენება იყო და მადლობა მათ ამისათვის. მადლობა იმ საოცარი დღეებისათვის, რომელშიც მთელი საქართველო გვამყოფეს; მადლობა იმ ემოციებისათვის, რომლის მსგავსი აქამდე არასოდეს გვინახავს ქართველებს; ძალიან მაღალ სიმაღლეზე ასწიეს ამ ბიჭებმა ქართული ფეხბურთის თამასა და იმედია, ასეც გაგრძელდება. სირცხვილი ევროპელ სპეციალისტებს, რომლებმაც ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში (სათადარიგოებში მაინც), კვარაცხელიას და მიქაუტაძეს რომ თავი დავანებოთ, მამარდაშვილი არ შეიყვანეს, რომელმაც ოთხ თამაშში 29 წარმოუდგენლად ურთულესი სეივი შეასრულა და მას რატომღაც ფრანგი გოლკიპერი ამჯობინეს რომელსაც ექვს თამაშში სულ 17 სეივი ჰქონდა.

უკან დარჩა ულამაზესი დღეები, საოცარი განცდები და ემოციები. მთავარია ჩვენმა ნაკრებმა ის დანავსული რუბიკონი გადალახა და აწი, დარწმუნებული ვარ, უფრო ნათელი დღეები გველოდება წინ. აგერ, ხელის გაწვდენაზე უკვე მსოფლიო ჩემპიონატი მოდის და თუ კენჭისყრაში ოდნავ მაინც გაგვიმართლა და მაინცდამაინც ბობოლა გრანდი არ დაგვეჯახა, რატომაც არ უნდა ვიოცნებოთ იქ მოხვედრაზე! მითუმეტეს, რომ ეს ჩემპიონატი გუნდების რიცხვის გაზრდილი ფორმატით უნდა ჩატარდეს. ჩვენმა ბიჭებმა დაგვარწმუნეს, რომ ეს ხელეწიფებათ, რაც მთავარია, აღარც დიდი გრანდების წინაშე თრთიან და ამის ნათელი მაგალითი პორტუგალიის დამარცხებაა. ასე, რომ წინ ახალი გამარჯვებისაკენ.

P.S. 14 ივლისს, ფინალის დღეს, ევროპის ყოფილმა ჩემპიონმა - იტალიამ ალბათ გულში მაინც წარმოთქვა; - მეფე მოკვდა! ესპანეთმა, გამარჯვებულის კვარცხლბეკზე შემდგარმა სიხარულით შესძახა: - გაუმარჯოს მეფეს! ჩვენ კი, ქართველებს, ჩვენი შეძახილი გვქვს - ყველაზე მაგარი და ყველაზე დიადი: - გაუმარჯოს საქართველოს!

გოგი გოგოლაძე

შეხვედრა პოეტებთან

ამ დღეებში ქვიშხეთში იმყოფებოდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის თავჯდომარე მაყვალა გონაშვილი და ქვემო ქართლის მწერალთა ორგანიზაციის თავჯდომარე მარინა ცხვედიაშვილი.

მათთან ერთად იმყოფებობდნენ პოეტები: აკადემია ,,გულანის'' პრეზიდენტი ნაირა მარშანია, მაია რაზმაძე, ლალი მჭედლიძე და ბაღათერ არაბული.

შეხვედრა შედგა ქვიშხეთში, დიმიტრი ყიფიანის სახლ- მუზეუმში.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

ხაშურის მუნიციპალიტეტის კულტურის განყოფილებისა და სამუზეუმო გაერთიანების თანამშრომლები.

ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახელობის საჯარო სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები.

ქვიშხეთის კულტურის სახლისა და საბავშვო ბაღის თანამშრომლები;

ჩვენს რაიონში მოღვაწე პოეტი ქალბატონები: მზეგული ტყეშელაშვილი და მარინა ღონღაძე.

მომღერალი მარიამ ობოლაძე,რომელმაც,თავისი გუნდის მონაწილეობით სხვა ხიბლი შემატა საღამოს.

ფილოლოგიის დოქტორი,პროფესორი მაია არველაძე.

დამსწრე საზოგადოება მიესალმა და ქვიშხეთის რეალობაში შემობიჯება მიულოცა ქვიშხეთის საჯარო სკოლის ახალ დირექტორს,ქ-ნ ანა ტაბატაძეს.

საღამო იყო უშუალო და გულთბილი; სწორედ ისეთი დიმიტრი ყიფიანის გარემოს და შემოქმედ ადამიანებს რომ ეკადრებოდათ.

ქ-მა მაყვალა გონაშვილმა თამარ მეფის მედლით და ჯვრით დააჯილდოვა მწერალთა დიდი ოჯახის წევრი, პოეტი, მკვლევარი, ფილოლოგიის დოქტორი, საბიბლიოთეკო გაერთიანების დირე-ქტორი ქ-ნი კლარა გელაშვილი.

საბიბლიოთეკო გაერთიანება მადლობას უხდის და წარმატებებს უსურვებს მოწვეულ პოეტებს და დამსწრე საზოგადოებას.

ასევე- დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი ს თანამშრომლებს გულთბილი მასპინძლობისთვის...

წარმატება ბულგარეთში

18~25 ივნისს, ბულგარეთის ქალაქ ვარნაში, ჩატარდა ინტერნაციონალური ფესტივალი “golden dream” 12 ქვეყნის ჩართულობით. კონკურსში მონაწილეობდნენ ხაშურის სამუსიკო სკოლის საორკესტრო განყოფილების მოსწავლეები (ვიოლინო): ეკატერინე კურტანიძე (2 კლ.), თამარ ნოზაძე (4 კლ.), ანამარია სამხარაძე (4 კლ,) ანანო ბერიძე (6კლ.). პედაგოგი ფატი სადაღაშვილი, კონცერტმაისტერი მაია ინდუაშვილი.

კონკურსანტები წარმატებით წარსდგნენ ჟიურის წინაშე და პრიზები დაიმსახურეს: ეკატერინე კურტანიძე მე~2 ადგილი, ნოზაძე თამარი- მე~2ადგილი, ანანო ბერიძე-პირველი ადგილი და სამხარაძე ანამარია- გრან პრი.

ფესტივალში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე მევიოლინეთა ანსამბლი. მათი კონკურსში მონაწილეობა პირველი ადგილით აღინიშნა.

ფესტივალზე დაჯილდოვდნენ პედაგოგი და კონცერტმაისტერი.

ხაშურის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა კონკურსზე შეასრულეს კომპოზიტორ ფიოკკოს ალეგრო, ჩაიკოვსკის ძველებური ფრანგული სიმღერა, მოლენჰაუერი და სხვა. ფესტივალზე ჩვენმა წარგზავნილებმა აგრეთვე გააჟღერეს კახა ცაბაძის ორი ნაწარმოები, ტანგო და დონ კიხოტის რომანსი, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

ვულოცავთ მოსწავლეებს, პედაგოგებს და ხაშურის სამუსიკო სკოლას ამ დიდ წარმატებას.

„ფრესკამ“ საფრანგეთის რესპუბლიკის ორდენი მიიღო

ხაშურის მუნიციპალური ანსამბლი „ფრესკა“, სპეციალური მიწვევით, საფრანგეთში იმყოფებოდა.

ტური ძალიან წარმატებული აღმოჩნდა და მაყურებელი აღაფრთოვანა.

„კონცერტებს ყოველდღიურ რეჟიმში ვმართავდით, არაერთი პრიზი მივიღეთ, მაყურებლის დიდ სიყვარულს და ოვაციებს ვიმსახურებდით.

თეატრ დე ლ’ჰერმინში სოლო კონცერტი გავმართეთ, სადაც მრავალფეროვანი რეპერტუარი წარმოვადგინეთ. პროგრამაში სრულიად ახალი ხედვა შევიტანეთ, შევქმენით ახალი ნომრები, სადაც სიმღერის და

ცეკვის სინთეზია თავმოყრილი, ნომერი ძალიან განსხვავებული, ბუნებრივი, ტრადიციული და ლამაზი გამოვიდა, აღსანიშნავია ისიც, რომ გამოვიყენეთ ქართული საკრავები. რაც მთავარია, ჩვენი ცეკვები ცოცხალი მუსიკის ფონზე მიმდინარეობდა, რაც განსაკუთრებულ ეშხს მატებდა ქართულ ფოლკლორს.

მონაწილეობა მივიღეთ სენ-მალოს მსოფლიო ფოლკლორის ფესტივალში,

ჩვენთვის დიდი პატივია სენ მალოს მერისგან საფრანგეთის რესპუბლიკის ორდენის მიღება...კონცერტები გავმართეთ ესპანეთშიც, ვმონაწილეობდით „Costa Brava“-ს ფესტივალში, სადაც ასევე, მაყურებელს დაუვიწყარი სანახაობა ვაჩვენეთ და სპეციალური პრიზები მივიღეთ...

ვენეციაში, სან-მარკოს მოედანზეც გაიბრწყინეს ჩვენმა გოგონებმა და აჭარულ მოტივებზე იცეკვეს...

ძალიან ლამაზი და ბედნიერი დღეები გვქონდა, უკვე გვაქვს საერთაშორისო მოწვევები და არაერთ სურპრიზს შემოგთავაზებთ მომავალშიც...

ყველგან ქართულ დროშებს ვაფრიალებდით. გვიხარია და ამაყები ვართ, რომ უდიდესი შრომის შედეგად, ასე ღირსეულად წარმოვაჩენთ

ჩვენს საქართველოს და მუნიციპალიტეტს“-აღნიშნეს ანსამბლ ფრესკას ქორეოგრაფებმა ელენე და გიორგი რატიანებმა.

სურამის ყოფილი კინოთეატრი ახალ ფუნქციას და ახალ სახეს შეიძენს

ხაშურის მუნიციპალიტეტი სურამის კინოთეატრის შენობის სრულ რეაბილიტაციას გეგმავს. რეაბილიტირებული შენობა სამუსიკო სკოლას და სურამის ბიბლიოთეკას გააერთიანებს. აქვე გადავა სურამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ოფისიც.

მუნიციპალიტეტმა კინოთეატრის რეაბილიტაციისთვის ტენდერი უკვე გამოაცხადა.

განახლებული შენობა ჩვენი საყვარელი სურამის ცენტრს ახალ ხიბლსა და სიცოცხლეს შემატებს. აღსანიშნავია, რომ მისი დიზაინის მომზადებაში უშუალოდ იყო ჩართული მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.